

შპს ქიუ ენჯინერინგი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს ქიუ ენჯინერინგის ხელმძღვანელობა. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა

შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური
ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

დავით ქევანიშვილი
დირექტორი

შპს ქოუ ენჯინერინგი

თარიღი: 01 ნოემბერი 2025

შპს „ქიუ ენჯინერინგი“

ს/კ 405403077

ფინანსური ანგარიშგება IFRS for SMEs-ის სტანდარტის მიხედვით

31 დეკემბრით დასრულებული 2024 წლისათვის

I. ფინანსური მდგომარეობის ანგარიში (Statement of Financial Position)

მუხლი	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,294,297	704,694	654,828
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	444,845	0
ძირითადი საშუალებები	69,544	92,337	115,789
სულ აქტივები	1,363,841	1,241,876	770,617
სულ ვალდებულებები	0	0	0
საკუთარი კაპიტალი	1,363,841	1,241,876	770,617

II. საქმიანობის შედეგების ანგარიში (Statement of Comprehensive Income)

მუხლი	31/12/2024	31/12/2023
ნეტო შემოსავლები	121,965	471,259
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საოპერაციო მოგება	121,965	471,259
მოგება გადასახადამდე	121,965	471,259
საანგარიშგებო პერიოდის	121,965	471,259

მოგება

III. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიში (Statement of Changes in Equity)

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში შეადგენდა 1,241,876 ლარს. საანგარიშგებო პერიოდში მიღებული წმინდა მოგების შედეგად გაიზარდა 121,965 ლარით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგინა 1,363,841 ლარი.

IV. ფულადი ნაკადების ანგარიში (Statement of Cash Flows)

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები არ აღრიცხულა. ფულადი სახსრების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში იყო 704,694 ლარი, და პერიოდის ბოლოს შეადგინა 1,294,297 ლარი.

V. განმარტებითი შენიშვნები (Notes to the Financial Statements)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქიუ ენჯინერინგი“ (ს.კ 405403077) დაარსდა 2020 წლის 14 ივლისს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოში. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 58, კორ. ბ, ბინა 116 . კომპანიის საქმიანობის სფეროა საინჟინრო და კონსტრუქციული მომსახურება.

2. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ორგანიზაცია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში ("ლარი").

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელთაც აქვთ გავლენა წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

3. ბუღალტრული პოლიტიკა

- შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც მომსახურება შესრულებულია;
- ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით და ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით;
- ფულადი სახსრები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით;
- არ არსებობს სესხები ან ფინანსური ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდში.

4. აქტივები და ვალდებულებები

სავაჭრო მოთხოვნები და სხვა აქტივები ასახულია შესაბამისი წმინდა ღირებულებით. კომპანიის ძირითადი აქტივი წარმოადგენს ფულადი სახსრები.

5. საგადასახადო საკითხები

ანგარიშგების პერიოდში საგადასახადო დავალიანება არ აღენიშნება.

6. რისკები

კომპანიის ძირითადი რისკებია ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. მაღალი ფულადი ნაშთები ამცირებს ლიკვიდურობის რისკს.

VI. მმართველობის ანგარიში (Management Report)

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიზანია საინჟინრო მომსახურების გაწევა. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა მცირე მოცულობის პროექტები საქართველოს ფარგლებში. მენეჯმენტი გეგმავს აქტივობების გაფართოებას ენერგეტიკისა და სამშენებლო სექტორებში.

VII. დამტკიცება და ხელმოწერა

დამტკიცებულია შპს „ქიუ ენჯინერინგის“ მენეჯმენტის მიერ.

დირექტორი: დავით ქევანიშვილი

თარიღი: 01 ნოემბერი 2025 წელი

